№ 148 18 ივლისი, ოთხშაბათი 1866—1879 18 ივლისი, ოთხშაბათი № 148

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივის ციცეროთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში — ბალის (სადოვაი) ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით — ხუთი მანეთი.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ათინა**, 15 ივლისს. კოროლის ბრძანებით, პალატები დაიხურა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი**, 15 ივლისს. დღეს გადაიხადეს აქ მოლებენა და იარმუკა გაიხსნა. ხვალ მოელიან ნიჟნში დროებით გენერალ-გუბერნატორს გრაფ იგნატიევს.

## საქართველო

### დღიური

*** ფოსტის გამგეობა გვაცნობებს, რომ ამ თვის 14-ს ვლადიკავკაზის გზაზე კობის სტანციიდამ დაწყებული გუდაურამდინ და ყაზბეგამდინ გზა და ხიდები ბევრ ალაგას გაფუჭებული არის წყალ-დიდობისაგანაო. გორბათის ხიდი სულ წაუღია წყალს, კობის ხიდზე თავზე გადადის ამძვინებული თერგიო, მიწისა და ქვით-კირის კედლები გზისა რამდენიმე ალაგას გაურეცხია და ამ ნაირად გზა შეკრულიაო.

ეს არის იმის მიზეზი, რომ ეს სამი დღეა, ქალაქში არ მოსულა არც რუსეთისა და არც სამზღვარ-გარეთის ფოსტა.

*** ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ ამ ჟამად აქ საშინლად გახშირდა ქურდობაო, ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ავაზაკებმა რამოდენიმე დუქანი გატეხეს და ფული და საქონელი გაიტანესო.

ჩვენ კი ამას გვწერენ, მაგრამ გასაკვირველია, რომ გაზეთ „კავკაზში“ კი შესხმა არის დაბეჭდილი ქუთაისის პოლიციაზე და იმის კარგ განკარგულებაზე; აქ არავითარი ქურდობა და ცუდკაცობა არ არისო. პოლიცია ძალიან მხნედ მოქმედებსო და სხვ.

რომელ ერთს დაუჯეროთ? მაგრამ ჭეშმარიტების გამოცნობაში თვითონ იმ „კავკაზის“ შენიშნვის ავტორი გვეხმარება: ის ამბობს, რომ მე ოქროს საათი მომპარესო... მაგრამ პოლიციამ მალე აღმოაჩინაო... მაშ კი ყოფილა ქურდობა...

*** ქუთაისიდამვე მივიღეთ ჩვენ, გაზეთში დასაბეჭდათ, შემდეგი შენიშნვა:

„ამ კვირაში ქუთაისის პოლიციამ წაართვა აქაურ მეპურეებს თოთხმეტი ფუთი გამოუმცხვარი და ცუდი თვისების პური.

„ეს კარგი განკარგულებაა, რასაკვირველია: მაგრამ მე მაინც მიკვირს — ეს დაწუნებული პური უ. პოლიციმეისტერმა ქუთაისის ტუსაღებს რათ გაუგზავნა, თუ ის საწყალი ტუსაღების ჯან-მრთელობის დამცველი და მფარველია, როგორც პოლიციმეისტერი, აგრეთვე როგორც დირექტორი ქუთაისის სატუსაღო კომიტეტისა?! თუ ის დაწუნებული პური მოძრავი და თავისუფალი ხალხისთვის მავნებელი იყო, ტუსაღებისათვის ხომ ამაზედაც უარესი რამე იქნებოდა - მიკვირს. უ. ს. აბულაძის „თეთრს, ახალს და კარგათ გამომცხვარს პურს“ იწუნებენ ტუსაღები, — უ. პოლიციმეისტერი კი დამპალს, აშმორებულს და ხან-მოთეულს პურს უგზავნის.

„პოლიციმეისტრის დაწუნებული პური ტუსაღებმაც დაიწუნეს. მხოლოთ ხათრი რო არ გაეტეხნათ უ. პოლიციმეისტრისათვის, რამოდენიმე პური ამოარჩიეს, დანარჩენი ისევ პოლიციაში დააბრუნეს დიდის მადლობით.

„მაგრამ საქმე ამით არ თავდებოდა: დაბრუნებულს პურს უ. პოლიციმეისტერი ისევ სატუსაღო ციხეში აგზავნიდა; მაინც და მაინც ტუსაღებმა უნდა მიირთვან მუქთათ ნაჩუქარი პურიო. ეს სწორეთ იმასა ჰგავს, რომ „ვირს პიტნა სძულდა და ცხვირში სტენიდენო“.—

„ტუსაღებისათვის იმის მეტი არა არის-რა საჭირო, რომ უ. პოლიციმეისტერმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს იმ მეპურეს, რომელიც კანტრაქტის სისუსტით სარგებლობს და ციხეში ხშირათ გამოუმცხვარს და წყლით გაჟღენთილს პურს გზავნის ხოლმე. სახეში იქონიოს უ. პოლიციმეისტერმა, რომ რაკი მეპურე კანტრაქტის სისუსტის გამო არ იშტრაფება, ტუსაღები ხშირად მეპურეს ულვაშებს უწეწენ და ლაზათიან სილებსაც მიაყოლებენ ხოლმე, როგორც წასრულ კვირაში მოხდა“.

*** ახალ-სენაკიდამ გვწერენ, რომ, რადგან ამ უკანასკნელ დროს, სიცხეების გამო, ზოგიერთი ავათმყოფობა გახშირდა ჩვენკენო და რადგან ამისთანა გაჭირების დროს ექიმი არა გვყავს, ამის გამო ხალხი ძალიან შეწუხებული არისო. მართალია, ექიმი არის, მაგრამ ის მხოლოთ დიდ-კაცებისა და სქელ-ჯიბიანებისთვის და არა ღარიბ ხალხისთვის, რომელსაც თითო მოსვლისათვის თუმნისა და მეტის მიცემა არ შეუძლიანო. მართლიაო აგრეთვე, რომ ორპირში ერთი ფერშალი არისო, მაგრამ ამანაც ექიმებს წაბაძა და სანამ ფულს არ დავანახებთ, ფეხსაც არ მოიცვლისო.

დიდი საჭიროება არის აგრეთვე, თურმე ახალ-სენაკის უეზდში ნასწავლი ბებიისა, რადგან ჩვენებური ბებიების ხელში ხშირად იხოცებიან მშობიარე ქალებიო.

*** სამეგრელოდამ იწერებიან „თფილისის მოამბეში“, რომ გამმიჯნავ კომისიას, რომელიც სამეგრელოში დადის ახლა და თ. მინგრელსკის მამულებს მიჯნავს, უკვე გაუთავებია გამიჯვნა ზუგდიდის უეზდის შვიდი სოფლისა. თ. მინგრელსკის ვექილები თითქმის, ყველა მებატონეების მამულებზე ამბობენ თურმე, რომ ეს ჩვენი მარწმუნებლის თ. მინგრელსკის საკუთარი მამული არისო. ამის გამო, კორრესპონდენტის სიტყვით, სასამართლოებში ძალიან ბევრი დავა ატყდება სამეგრელოს თავად-აზნაურთა და თ. მინგრელსკის შუა.

ესვე კორრესპონდენტი ამბობს, რომ გამიჯნავი კომისია თავის საქმის გაკეთების დროს ძალიან ბევრ ნახნავ-ნათესს მიწებსა და ყანებს აფუჭებს, პირ-და-პირ გაამტვრევენ ხოლმე ღობესაო და კომისია თავის ამალით ცხენებით სჯეგნის ყანასაო.

*** ზემოხსენებულისავე გაზეთის სიტყვით, თ. გ. მ. თუმანიშვილი აბეჭდვი-

ნებს ქართულს ენაზე ბროშურას, სახელად „ქართული თეატრის საქმე.“

## წერილი რედაქტორთან

—

უფ. რედაქტორო! „დროების“ მე-132 ნომერში უფ. ჩაიარაშვილი მთხოვს სინიდისის წინაშე ვსთქვა:

1, განუცხადეს თუ არა ტუსაღებმა უ. პროკურორს და პოლიციმეისტერს საჩივარი სამელ-საჭმელის თაობაზედ;

2, რა მიზეზი იყო, რომ ერთმა ყარაულის უმფროსმა სამხედროის უმფროსს რაპორტი წარუდგინა „ტუსატები ბუნტს აპირებენო“ და

3, ტუსაღებმა რამტენჯერ დაუბრუნეს ამ წელში მეპურეს უ. ს. აბულაძის „თეთრი, ახალი, კარგი გამომცხვარი და სხვ. პური?“

ძალიან მიკვირს უ. ს. აბულაძის წინდაუხედავათ ლაპარაკი და ისიც ბეჭდვით. უფ. პროკურორმაც იცის და უ. პოლიციმეისტერმაც, რომ ტუსაღებმა არა-ერთხელ სთხოვეს მათ სასმელ-საჭმელის გაუმჯობესობა. უფ. ქუთაისის სატუსაღო ციხის ზედამხედველმა პოლიცმეისტერს, რაპორტიც წარუდგინა, რომელშიაც სთხოვდა, რომ უფ. გუბერნატორი მისულიყო სატუსაღო ციხეში ტუსაღების საჩივრის მოსასმენათ ცუდი სასმელ-საჭმელის თაობაზედ.

ამით რო არაფერი გამოდნა, საქმე იქამდის მივიდა, რომ ტუსაღები გაბრაზდნენ და ყვირილით და ვაი-ვაგლახით ყარაულის უმფროსს სთხოვეს ამ საქმეზე უმაღლეს მთავრობასთან ეშუამდგომლეყბინა. ეს ამბავი, რასაკვირველია, ვიცე-გუბერნატორმა შეიტყო; მოვიდა სატუსაღო ციხეში და თან მოჰყვა უ. ს აბულაძეც. გაიგეს ყველაფერი.

მე არ მესმის უ. ს. აბულაძის სიტყვები: „კომიტეტში არავითარი საჩივარი არ შემოსულა არესტანტებისაგან ცუდი სასმელ-საჭმელის თაობაზედ.“ კომიტეტის უმფროსებისათვის უნდა განეცხადებიათ ტუსაღებს საჩივარი, თუ უ. ს. აბულაძისათვის გაეგზავნათ ქაღალდზედ დაწერილი თხოვნა სატუსაღო კომიტეტში და ეთხოვნათ მისთვის სასმელ-საჭმელის გაუმჯობესობა?

ეხლა პურზე. მე არა მაქვს გამოანგარიშებული—ტუსაღებმა რამდენჯერ დაუბრუნეს მეპურეს უ. ს. აბულაძის „თეთრი, ახალი, კარგათ გამომცხვარი და სხვ. პური.“ ვიცი, რომ ამ წელში ტუსაღებმა ბევრჯერ დაიწუნეს ეს პური და დაწუნებულს პურში მეპურე გზავნიდა, პირველი სორტის პურს კი არა, როგორც უ. ს. აბულაძე ჰფიქრობს, არამედ იმისთანა პურს, როგორიც კანტრაქტის ძალით უნდა ეგზავნებოდეს არესტანტებს.

ეს არის უფ. ჩაიარაშვილის თხოვნის პასუხი, რომლის დამტკიცება ყოველთვის შემიძლია.

მსტატე იოსელიანი.

ქუთაისის ციხე, 29 ივნისს.

---

# უცხო ქვეყნები

---

## ოსმალეთი

გაზეთს „გოლოსში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 5 ივლისს მიღებული სტამბოლიდამ:

„არზრუმიდამ მიღებულის ტელეგრამმებიდამ სჩანს, რომ ამ ივლისის ორს რამდენიმე სომეხი დასცემიან თავს სპარსელებსა არზრუმის სხვა-და-სხვა უბნებში და მოუხდენიათ ჩხუბი. თუ რომ ოსმალოს ჯარებს არ მოესწროთ დროზე, შეიძლებოდა, დიდი უწესოება და სისხლის ღვრაც მომხდარიყო.

„ამ საქმის თაობაზე დანეშნულმა გამოძიებამ ჯერ-ჯერობით მხოლოთ ის აღმოაჩინა, რომ ჩხუბის მიზეზი ყოფილა ერთი სპარსელი, რომელსაც სომხის ქალის გაუპატიურება განუზრახავს.

„ამჟამად არზრუმში სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს. დერვიშ-ფაშა იწერება არზრუმიდამვე, რომ ურჩი მაზრა

---

# ფელტონი

—

## პირველი სკრიპკა

### გადმოკეთებული მოთხრობა

(დასასრული.*))

ერთხელ ყმაწვილები ისხდნენ ტბის პირზე და მოუთმენელად ელოდნენ მარიეტტას მამის შემობრუნებას თევზობიდგან. იმ დღეს საშინელი ქარი ჰქროდა; ტბა ჯერეთ კიდევ ღელავდა და განძვინებული ისროდა აქაფებულ ზვირთებს; მის სიღრმიდამ ამოისმოდა გვრგვინვის ხმა.

დარდით ფერ-მიღებული დედა-კაცები მუხლ-მოდრეკით ევედრებოდნენ ღმერთს მგზავრების მშვიდობით მობრუნებაზე. მაგრამ ტბამ აღარ დააბრუნა თავისი მსხვერპლი,—მარიეტტამ ველარ იხილა თავისი მამა...

ქალი დარჩა უნუგეშოდ, როგორც ბუდიდან ჩამოვარდნილი ფრთა-დაუმთავრებელი ბარტყი. მან დაიწყო გულ-ამოსკვნით ტირილი და კვნესა. გასპარომ მიიყვანა ის თავის დედასთან და უთხრა:

—ეხლა, დედილო, მარიეტტა იცხოვრებს ჩვენთან, მამა თანახმაა ამაზე, მეც უფრო მოცადინე შევიქმნები.

დედამ დაკვირვებით შეხედა ორივეს და უთხრა მაცდურის ღიმილით:

—რასაკვირველია, ჩემო კარგო, ვენჩ

„დროება“, № 147

ვიზრუნებთ უთვისო ობოლზე; მაგრამ მაგან ჯერეთ უნდა შეავედროს თავის მამის სული ღმერთს.

მარიეტტა წაიყვანა გასპაროს დედამ დედათ-მონასტერში. მივიდნენ კარებთან, დედა წინ შეუძღვა ქალ-ყრმათ. მაგრამ რა წამს მოჰბერა მარიეტტას მონასტრის ჰაერმა, ეყნოსა დახშულობის სუნი, ის აღელვებული მობრუნდა უკან, მოეჭდო მკერდზე თვის მეგობარს და დაიძახა:

—ოხ! მე არ შემიძლიან გაგშორდე შენ, გავშორდე ჩემს ტბას!

დედამ მოჰკიდა ქალს ხელი და უთხრა ცივად:

—პატარა აღარა ხარ, დროა იფიქრო განსვენებისათვის მამის შენის სულისა და არა ეკონებოდე ახალ-გაზდებს...

მარიეტტა მოშორდა მეგობარს, ჩააკვირდა სევდით სავსე თვალებით და გატრიალდა უეცრად.

—მშვიდობით, გასპარო! გაისმა ყრუ ხმა, თითქოს უკანასკნელი ამოქშენა მომაკვდავისა.

მონასტრის კარები ჩაიკეტა. მარიეტტა განქრა. კარგა ხანი იდგა იქ გასპარო, როგორც გაქვავებული და მერმე წავიდა შინ. მის ყურებში ჯერ კიდევ გაისმოდა დედის სიტყვები მარიეტტასადმი: „ყმაწვილი აღარა ხარ“. თვალთ წინ წარმოუდგა მას უკანასკნელი შეხედვა მარიეტტასი. იგრძნო მის გულის ცემა,—გულის-ცემა, რომელსაც იგი ჰგრძნობდა უკანასკნელ ჩაკონების დროს; სიწითლის ალმა აიტანა ახალ-გაზდა...

„რათ ვდარდობ!? რამდენი მეკვირის შემდეგ ხომ ისევ ვნახავთ ერთმანერთს!—“ ანუგეშებდა თავის-თავს გასპარო.

გადიოდა კვირები, თვეები, მარიეტტა კი ისევ მონასტერში იყო; შვილი ეხვეწებოდა დედას, რომ მარიეტტა გამოეყვანა მონასტრიდამ; ბევრი კი არწმუნებდა მას, მარიეტტას თვითონ არა სურს გამოსვლაო. ახალ-გაზდას რჩებოდა ერთად-ერთი ნუგეში—სმენა მისი ანგელოზებრივი გალობისა ეკკლესიაში.

საქმე სახელოსნოში უფრო კარგათ წავიდა. ბევრმა შეუკვეთა ჩონგურების გაკეთება, საკრავები უნდა გაეგზავნათ ვერონაში და მილანში: დედას ძრიელ უნდოდა, რომ საკრავები თვითონ იმის შვილს წაეღო ქალაქებში; მაგრამ ის უარზე იყო. ახალ-გაზრდა დარჩა შინ; ის ისევე ისე გულ-დადებით მუშაობდა და აგრეთვე დადიოდა ყოველთვის დედათ-მონასტრის ეკკლესიაში.

გასპარო ხანდის-ხან ავიდოდა „ზღვის მეფას ტახტზე“ და დაღონებული და სევდიანა ჩასჩქეროდა ტბას. ტბა წინანდებულად მშვენიერი იყო; მაგრამ მარიეტტა? რისთვის აღარ ჰსურს მარიეტტას მასთან მისვლა? იმან დაივიწყა ის, აღარ ახსოვს? დარდი და ჯავრი ჰგლეჯდნენ მის გულს...

შვილი აღარას ჰკითხავდა დედას მარიეტტაზე, დედა ხარობდა, მაგრამ დიდხან კი არა. მალე შენიშნა მან, რომ მისი შვილი ჰკნება. „მორჩება, ღმერთო, შენ ით,

დერსიმისა ამჟამად სრულიად დამშვიდებული არისო. ვანის ვილაიეტის ზოგიერთი სოფლები არ აძლევდნენ სახელმწიფო ხარჯს მმართებლობისაგან დანიშნულ ხარჯის მომკრებლებს; მაგრამ ახლა დამორჩილდნენ და თავის ნებით იძლევიან ყოველ გადაწყვეტილ გადასახადსა.“

— ერთს ფრანცუზულს გაზეთში იწერებიან ადრიანოპოლიდამ, რომ რუსის ღენერალი სტოლიპინი 16 ივლის ჩაჯდება ბურგასის ნავთსადგურში ხომალდზე თავის უკანასკნელის ჯარითა და ამნაირად აღმოსავლეთ რუმელიაში ამ დღიდამ რუსის ჯარები სრულიად აღარ დარჩებიან.

## საფრანგეთი

ამ თვის შვიდს სენატმა გარდაწყვიტა სამინისტროსა და კომისიისაგან წარდგენილი წინადადება, რომ სენატისა და ნაციონალურ კრების რეზიდენციათ (ადგილ-სამყოფად) იყვესო ქალაქი პარიჟი.

ამავე სხდომაზე გადაწყდა აგრეთვე ის წინადადებაც, რომლის ძალითაც სენატისა და დეპუტატების პალატის თავსმჯდომარეთ ეძლევათ უფლება, როცა საჭიროდ დაინახავენ, მოითხოვონ ჯარები ამ პალატის დასაცველად.

— ბონაპარტიულ პარტიის დეპუტატების, სენატორებისა და სხვა წარჩინებულ პირთა საერთო ყრილობას გარდაუწყვეტია, რომ ამ პარტიის მოთავედ აღიარონ პრინც ჟერომ ნაპოლეონი. პრინციპი პარტიისა ძველივე დარჩება, ე. ი. ხალხის საზოგადო კითხვით გადაწყდეს—თუ რაგვარი მმართებლობა უნდა დაწესდეს საფრანგეთში.

## საბაასო

### უფ. გორის კრუჟოკის წევრს.

ეხლა მოისმინეთ წლის გასავალი:
სახლის ქირას ვაძლევთ კრუჟოკისას 600 მანეთს,
მოსამსახურეებისათვის წლიწადში 700 —
განათებისა და გათბობისა 900 —
ახალწელიწადს იოლკისათვის და მანფანსკებისათვის ახარჯება 150 მან.
ბიბლიოთეკისთვის (მეტს ვამბობ) 200 —
და მუზიკისათვის (ესეც ხან არის და ხან არა) — — — — — 600 —
ბუფეტჩიკს აძლევენ სუფსიდას 50 მანეთსა

სულ 3,200 მანეთი.

ეს რო გამოვრიცხოთ შემოსავლიდამ, უნდა დარჩეს მოგება წლიწადში 1,391 მან. და 50 კაპ. აქედამ კიდევ მინდა გადავდო კრუჟოკისათვის მორთულობისათვის და ახალი ნივთების შეძენისათვის წლიწადში 191 მან. 50 კაპ. ხალასი წლიწადში—1,200 მანეთი მოგება უნდა იყვეს, ამ ნგარიშით 26 თვეში ხაზინადრის ხელში უნდა იყვეს მოგება 2,600 მანეთი და ამის ბადლათ სჩანს 1175 მაინეთი და 38 კაპ. ზვაკლდება ფულ 1424 მანეთი და 62 კ.

სად არის ეს ფული?! არ შევეხები ხაზინადარის პატივს: იქნება მაგან ვერ მოიგო, ანუ რამეში შეცდომით მოდის; მაგრამ ამას ვჩივით, რატომ უ. ხაზინადარი თავს არ ანებებს, თუ ერთი ხეირი არა აქვს, და იჯარით არ აძლევყნ? თუ იჯარით არ უნდათ მისცენ, რატომ ყურადღებას არ აქცევენ ყველა ანგარიშსა და ამოდენა მოგება არა სჩანს? უფ. სტეფანოვი მომხრეებს იშოვნის, ხაზანადრობიდამ არ დაითხოვენ; მაგრამ მაგარი ეს არის, რომ სანამ ეს სტეფანოვი გახაზინადრდებოდა, იმ დროებში ისეთი დაწყობილობა იყო კრუჟოკში, რომ ერთ თვეს ერთ წევრს ებარა კრუჟოკი, მეორე თვეს—მეორეს; სტეფანოვსაც შეხვდა ჯერი და თავისი ერთი თვე რომ გაატარა, მეორე და მესამეც დარჩა, შემდეგ წევრებს არ იყო გვაყვედრიდა: „ჩემი ჩექმა გავცვითეო და თქვენ გემსახურეთო? რვა მანეთს ვაძლევ ჩექმაშიო!“

---

როცა ერთს კარგ ქალს უშოვით“,— ჰფიქრობდა დედა „ეგ არვის შეირთავს, არდა მარიეტასი“,—ამბობდა მამა.

საქმემ მიიღო ისეთი მიმოხვრა, რომ ქორწინებაზე ფიქრის დრო აღარ იყო. გასპარო ძრიელ ავად გახდა. სიცხით ალტაცებული ის ეხვეწებოდა მარიეტას ემღერნა, ან ჩაემწყვდია თვისი ხმა ლიუტნაში და ისე გაეგზავნა იმისთვის მაგრამ მარიეტტა შორს იყო.

ავათმყოფობამ მიაღწია უკანასკნელ წერტილამდის; ჯერეთ ისევ ნორჩმა სიცოცხლემ უკვე დააპირა გაფრენა, ყრმის პირი-სახე სასიკვდილოდ მოიქუშა. გავრცელდი გასპაროს სასიკვდილოდ გადადების ხმა. ელდა-ცემული მამა დაემხო მომაკვდავი შვილის ლოგინთან, დედა გაიქცა მონასტრის ეკკლესიაში დაეცა მუხლებზე ღვთისმშობლის წინ და დაიწყო ცრემლით ლოცვა: „წმინდაო ქალწულო! მომირჩინე შვილი. შეფიცავ აღარ ვეწინააღმდეგო მის მარიეტტასთან შეუღლებას“!

გასპარო თითქმის უსულოდ იწვა. გაიღო კარი; მის ლოგინთან მივიდა ვინმე შავში შეხვეული; სახვევლიდგან მოჩანდა მშვენიერი ქალის სახე: მის შავ წამწამებზე ბრწყინავდნენ ცრემლნი: დაემხო იგი მომაკვდავს და ნელა ჩასძახა:

—გასპარო! ეა მე ვარ... მარიეტტა მოვიდა შენთან.. ავსა ხალხმა არ შეიწყნარა ჩვენი ცრემლი, მათ უნდოდათ ჩვენი განშორება, მაგრამ ღმერთმა შეგვიბრალა. ხვალ მე მოლოზნათ უნდა შევეკვეცნეთ; მაგრამ აწ მე უფრო კარგი რამ მოვიფიქრე... მოიცა ცოტაც ჩემო გასპარო!..

შავით მოსილმა მხურვალეთ დაკოცნა მომაკვდავს და განქრა, როგორც აჩრდილი...

ღვთის-მშობელმა ისმინა ლოცვა შეწუხებულის დედისა; მისი შვილი მობრუნდა. როცა გასპარო რჩებოდა, ხშირად უბნობდა ხოლმე იმაზე, თუ როგორ მოფრინდა მასთან ზეცით ანგელოსი მარიეტტასი სახით, როცა ის შეწუხებული იყო. „როდესაც ანგელოსი შემეხო თვისი ბაგით; მაშინვე ვიგრძენ შვება“,—ამბობდა ხოლმე ის და ზედ დაატანდა ამოოხვრით: „მარიეტტა! სადა ხარ ეხლა?“ ვერვის ვერ გაებედა ეთქვა მისთვის, რომ მარიეტტა ამ ცოტა ხნის წინ გამორიყეს ზარდის ტბის ტალღებმა... იაევ ისეთი ნათელი იყო მისი სახე, ტბას მოერთო მისი გვამი ყვავილებით და ბათახვებით, რომელნიც შემოჰხვევიყვნენ და მკვიდრად ჩაჰკონოდნენ მას, თითქოს მსურველნი მისის ნუგეშ-ცემისა...

ბევრი, ბევრი ხანი გავიდა, სინამ გასპარომ შეიძლო წასვლა დედათ-მონასტრის ეკკლესიაში; ის მიილტოდა მარიეტტას ტკბილის ხმის გასაგონად; მაგრამ იქ უთხრეს, რომ მისი მარიეტტა აწ ზეცას არის და გალობს ანგელოსთ გუნდში... არც ერთი ცრემლი არ ჩამოჰვარდა გასპაროს თვალებიდან, არც ერთი ოხვრის ხმა არ გაისმა მისის მკერდიდან. ახალ-გაზდა მთლად შეიცვალა; ის ჩაინთქა რაღაც საიდუმლო ფიქრებში. ხანდის-ხან შვილი რაღაც უფრო დარდის მხატველი ღიმილით ეტყოდა დედას:

—მე მსურს მარიეტტას ტკბილი ხმა ჩავწნა ჩონგურის სიმებში; მე მსურს შევიპყრა ის; არც დღე და არც ღამე არ მაქვს მე მოსვენება მისგან.

მეზობლები ყოველთვის ხედავდნენ გასპაროს კარგა ღამის გატეხამდინ ფანჯარასთან ჩაფიქრებულს რაღაც საქმეზე; მაგრამ გავიდა რამდენიმე წელი, სინამ მან შესძლო შეპყრობა მარიეტტას ანგელოზებრივის ხმისა და ჩაწვნა მისი თავის ახალის საკრავის სიმებში. რომელიც იყო სულ პ ი რ ვ ე ლ ი ს კ რ ი პ კ ა...

შემდეგში გასპარო-დე-სალო განითქვა, როგორ გამოჩენილი მკეთებელი სიმებიანი საკრავებისა. მისი ნაკეთი საკრავები გმშორებით სჯობდნენ სხვების ნახელოსნოვებს. მაგრამ საუკეთესო და ყველაზე შესანიშნავი იყო ის სკრიპკა, რომლის სიმების ბგერა მას სურდა დაემზგავსებინა მარიეტტას ხმისათვის. ამ სკრიპკის თავზე იყო ამოჭრილი მშვენიერი სახე—სურათი მარიეტასი.

ვ. ზ—ვი.

შინ ისრე თავს იდებდა და ეხლა ხელ-[illegible] იღებს!

„ბანკის ბილეთი ბანკში არის უსახე-ლოვო," ამბობთ უ. წევრო! ეგ ვიცით, რომ ბანკშია, ისიც ვიცით, რომ სტარ-შინებმა იციან და დავთარში სწერია, მაგრამ რომ სტეფანოვს აუტყდეს რაიმე ვის მოსთხოვონ? შვილებსა, თუ მამუ-ლებს? ვინც დარჩება, უსახელო ბილეთ ჯიბეში ჩაიდებს. სდიეთ მემრე! ისე არა სჯობია ეწეროს, „ბორის კრუჟოკის ფუ-ლიაო;" მაშინ თუნდ ბილეთიც დაიკარ-გოს, ბანკიდგან მიღება არ დაბრკოლ-დება!

ორიოდე სიტყვა კიდევ:

თქვენ ამბობთ: კრუჟოკი წინეთ ალი-ხანოვის სახლებში იყოვო, ქირას 850 მანეთს ვაძლევდითო და ახლა სამოც თუმნათ დავიქირავეთ სხვაგანაო. და ალი-ხანაანთ მოკეთეთ იწყინესო, შეადგინეს მცირე პარტიაო და გადაკიდების მიზე-ზებს ეძებენო; ბელადათ ჰყავთ ალიხა-ნოვის სიძე—ზ. ა. და კრუჟოკს გვერე-ვსო.

არ შეიძლება ერთ-ერთ „დროების" მკითხველს არ ენახოს ალიხანოვის სახ-ლები ბორში და ერისთავისაც, სადაც დღეს ეს კრუჟოკია.

გაბედვით შემიძლიან ვსთქვა, რომ ალიხანოვის სახლებისთანა ზალა იქნე-ბა თფილისში სამი არ იყვეს და ეს მშვე-ნიერი სახლები დასცალეს და ერისთავის სახლებში გადავიდნენ სადაც ხალხი არ ეტევა და ამაზე თუ რაიმე ითქვა, კლუ-ბის ინტერესისთვის!

რომ ამბობთ, იქამდის კარგი ხაზინა-დარი არის სტეფანოვიო, რომ ბორის კრუჟოკის წევრთ თებერვალში მადლო-ბის ფურცელი მიუტანეთო და ოქროს ქოვზიო, რომელზედაც სწერია „ბორის ბრუჟოკის წევრთაგან იქონიოს სახსოვ-რად ერთგულებისაო,"—ამაზედ ხომ თქვენც გექნებათ გაგონილი, რომ ეს სა-ჩუქარი თითონ ხაზინადრის ფულით იყი-და ვინც ითავაო!.

ბორელი.

ბორი, 12 ივლისს.

---


ქუთაისში

# ქ. მესხის წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

1) სიტყვანი და მოძღვრებანი—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბ-რიელი მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.,

2) იგივე, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭ-დილი. ფასი 2 მან·

3) რუსული დასაწყისი ენის კურსი ქართველთათვის (Практическій на-чальный курсъ рус. языка для друзинъ-—შედგენილი ზ. ქ—შვილის მიერ. ფა-სი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტე-ბულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობ 50 კაპიკად.

4) დედა ენა—ი. გოგებაშვილისაგან, 50 კ.

5) სიბრძნე სიცრუის წიგნი ფა-სი — — — — —50 კაპ.

6) ბუნების კარი—ი. გოგებაშვი-ლისაგან — — — — 70 კაპ.

7) პატარა ბიბლიოთეკა—იმისევე — — — — — — 10 —

8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამ-ბაშიძისაგან— — — — 20 —

9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. ერის-თვისა— — — — — 15 —

10) თამარ ბატონიშვილი—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) არანკა, პოემა ზ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯა-ძისა — — — — — 50 —

13) ყარამანია—პირველი ექვსი

14) რძალი, მული და მაზენიკები—


---


სასოფლო შკოლებს [illegible]-რი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩა ზე, ხატაზოვის სახლებში კლუბის ქვეშ.


---


დაიბეჭდა და ისყიდება

საქართველოს

# კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამო ცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზია ში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუ თაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთ, ში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთ-მობათ.—

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მა-ღაზიაში


---


დაიბეჭდა და ისყიდება

მერვე კარი

# „ყარამანიანისა"

კუკიის ხიდზედ, ვართანოვის წიგნის მა ღაზიაში მირზოევის დუქნებში.

და აგრეთვე ისყიდება იქვე I, II, III IV, V, VI და VII კარი ყარამანიანის

ფასი 40 კაპ.


---

| რა გზა. | დილა. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 1[illegible] | მ | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| ბორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | " | 1 | 53 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი. . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი. . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 7[illegible] |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| ბორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | [illegible]6 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ. | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავა . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . . | 3 | 75 |

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გა-რეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კა-ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაი-სიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურ-გეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წ გნის . . . . . | 3 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი 11 ივლისს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ. | 2 | 20 |
| ფქვ. წითელი . . | 1 | 60 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი . | 9 | 40 |
| გა[illegible]ენტილი ბამბა ფუთი. | 10 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 8 | 40 |
| —თარაქამისა ფუთი . | 4 | 20 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი . . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 12 | 35 |
| ხორცი ძროხისა .ლიტრა | — | 81 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 90 |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 50 |
| შაქარი ბროც. ფუთ . | 7 | 10 |
| —ფხვნილი ფუთი . | 5 | 70 |
| ყავა რგვალი გრვ. . | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 13 | 20 |
| თამბაქო საშუალო ფთ. | 6 | 70 |


თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მოედ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი და ბაბოვი—გულისა და შინაგ. ავათ-მყოფ.; რეიხი—თვალის, ყურავ-ლევი—კანისა და ვენერიულის, ბახუტოვი—ქალისა და ბავშვების.

ოთხშაბათს: ლისიცევი—ში-ნაგ, ბაბაევი—ნერვების.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—ში-ნაგ. ავათთმყ. და ყურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისი-ცევი, ბაბოვი, ბაბაევი და ბახუტოვი.

შაბათს: ვერმიშევი, რეიხი და ყურავლევი.

ორბელი—კბილის ექიმი და ბაბაევი მიიღებენ შინ, ღარიბებს მუქთად.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Іюня 1879 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.